ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-1

2011 წლის 6 იანვარი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზირი №-522- დან №-576-მდე მდებარე 30013 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასი განისაზღვროს 1650715 (ერთი მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათას შვიდას თხუთმეტი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვის მიზნით, იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**